# საქართველოს კანონი

## საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 159-ე მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა“;

ბ) მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:

„3. აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა –

გამოიწვევს ფიზიკური და იურიდიული პირების გაფრთხილებას.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაფრთხილების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისას – 300 ლარის ოდენობით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **მიხეილ სააკაშვილი**

**ქუთაისი,**

**28 მაისი 2013 წ.**

**N618-IIს**